## დაუნიშნავი პენალტი

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 15 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) – “სპარტაკი” (მოსკოვი) 0:1 (0:0).

“დინამო”: კოტრიკაძე, პეტრიაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, დათუნაშვილი, ასათიანი, იამანიძე, მაისურაძე.

“სპარტაკი”: მასლაჩენკო, პეტროვი, შემჩერიაკოვი, კორნეევი, კრუტიკოვი, ამბარცუმიანი, ნეტო, პრიბილოვი, ოსიანინი, სიომინი, რეინგოლდი.

მსაჯი ე. ხიარმსი (ტალინი).

დუბლიორები – 1:0 “დინამოს” სასარგებლოდ.

... მიმდინარეობდა მატჩის 56-ე წუთი. ანგარიში არ იყო გახსნილი. ამ მომენტში ასათიანი გავიდა მარჯვენა ფლანგზე და კარის წინ, საჯარიმო მოედანზე ჩააწოდა ბურთი. აქ სრული სისწრაფით შეიჭრა იამანიძე, გასცდა მცველებს და გავიდა პოზიციაში, საიდანაც, ჩვეულებრივ, ნაღდი გოლი გააქვთ ხოლმე.

სპარტაკელებს მდგომარეობის ხსნა შეეძლოთ მხოლოდ წესის დარღვევით, რაც მათ დაუყოვნებლივ გამოიყენეს: იამანიძე წააქციეს აშკარად აკრძალული ილეთით, რომელიც ფეხბურთში პენალტით ისჯება.

მაგრამ ე. ხიარმსმა, ეტყობა, სხვა თვალით შეხედა მოსკოველთა კარის წინ გათამაშებულ “დრამას” და პენალტი არ დანიშნა...

ეს ამბავი თბილისელებს წაგებად დაუჯდათ. 71-ე წუთზე მოსკოველები შეტევაზე იმყოფებოდნენ, ამბარცუმიანის მიერ დარტყმული ბურთი მოულოდნელად მოხვდა ფეხში სიომინს და გავიდა კარში.

**“ლელო”, 16 აპრილი, 1966 წ.**